



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუმბრის მათეთრებელი თიხის საბადო

გუმბრის მათეთრებელი თიხის საბადო, ტუტემინა ბენტონიტური თიხის (გუმბრინის) საბადო წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გუმბრის მიდამოებში. აღმოაჩინა ა. თვალჭრელიძემ 1915. საბადოს ექსპლუატაცია დაიწყო 1930.

საქართველოში ბენტონიტური თიხების მოპოვებამ განაპირობა აშშ-იდან სსრკ-ში მათი (სახელდობრ, ფლორიდინის) იმპორტის შეწყვეტა.

გუმბრინის 4 მ სისქის მომწვანო-მოყვითალო ფენა დაკავშირებულია სენომანური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექ წყებასთან. ფენა განლაგებულია მკვირვ ტუფოგენურ გლაუკონიტთან ქვიშაქვებზე და ზემოდან ადევს ტუფქვიშაქვები. წყების აღმავალ ჭრილში გავრცელებულია აგრეთვე დაახლ. 1 მ სისქის ვარდისფერი გუმბრინის ფენა.

გ. მახაბელი
